№ 189. სამშაბათი, 6 მაისი. 1896—1897 სამშაბათი, 6 მაისი, № 189.

ცნობის ფურცელი

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართევენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.
Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція „Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

დღევანდელ ნომერთან ერთად ქალაქის ხელის-მომწერლებს გაზეთ „ცნობის ფურცლისას“ ეგზავნებათ დაბეჭდილი სია კანდიდატებისა ქალაქის საბჭოს წევრებისა დამდეგის 1897—1901 წლებისათვის.

სათავად-აზნაურო თეატრი
დირექცია გ. ს. მესხისა.
საოპერეტო დასი
დღეს, სამშაბათს, 6 მაისს,
მეორე გასტროლი ქ-ნის შერისა
წარმოდგენილ იქმნება
I
მშვენიერი ჭალალაცეია
3 მოქმედ. ოპერეტი მუს. ზუპპესი.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. შერი, კრონენბერგი, პანოვისა, ლავროვისა, ბ.ბ. რეზუნოვი, ბოგდანოვი, ბრაგინი, სავინი და სხ.
II
სინემატოგრაფი ლიუმიერისა
(მოძრავი სურათები)
ადმინისტრატორი ს. ა. გრივენკო. რეჟისორი და ლოტბარი ბ. ვივიენი

ხელის-მომწერთა საყურადღებოდ
პირველ მაისიდან გაზეთი
წლის დამლევამდე «საქართველოს კალენდრით»
ღირს ხუთი |5| მანათი.

ტელეფონი № 346
ტელეფონი № 346

სავაჭრო სახლი
ს. პ. პავლოვი და კ.
ტფილისი, დოლის-მელიქოვის ქ., № 6, სასულიერო სემინარიის პირდაპირ.
მთელს ქვეყნიერობაზე გან თქმული და საუკეთესო
საკერავი-მაშინები
ხელით სატრიალებელი 22 მან. 40 მანათამდე,
ფეხით სატრიალებელი ყოველ გვარ საქმობისათვის ადვილი და მსუბუქად დასატრიალებელი.
მაშინების სიკეთეს სამის წლით თავდებად ვუდგებით.
ფასის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.
Торговый домъ С. П. Павлова и Ко. (100—50 წ.)

საზაფხულო თეატრი (პუშკინის ბაღში)
ოთხშაბათს, 7 მაისს,
ქართული თეატრის აქტიორებისაგან სუფლიორის გალუსტოვის სასარგებლოდ
წარმოდგენილ იქნება პირველად ახალი პიესა
I
ჩვენის თეატრის დედა-ბოძნი
ხუმრობა 2 სურ. გადმოკეთებული.
II
პარიკმახერისას
ვოდ. 1 მოქმ. რ. ერისთავისა.
III
დივერტისმენტი,
რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს გამოჩენილი ლოტ ბოდენი.
დასაწყისი სეირნობისა საღ. 6 საათ. წარმოდგენისა 9 საათ.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანი.
გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.
მკ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.
ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1\frac{1}{2}$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.
ი. ფ. პრიტასკევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.
ა. მ. ზუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.
ა. შ. კარაპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.
საღამოობით:
ი. ფ. პრიტასკევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.
ა. მ. ზუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.
ბ. ა. ნავასარდიანი. $6\frac{1}{2}$—$7\frac{1}{2}$ საათამდე.
სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.
დირექტორი სამკურნალოსა დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ზ. თოფურიასი
ქუთაისში
სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე.
შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. .ბ თოფურია.**
საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**შ. ქ. ბერრატი.**
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**
თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი.**
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
ამკურნალოს დირექტორი **ს. ზ. თოფურია.**
(წ.)

კანონი და მთავრობის განკარგულებანი.

სამხედრო უწყება:

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან პენსიით მილიციის პრაპორშჩიკი ანტონ დიდიძე—ავადმყოფობის გამო.

დეპეშა

„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან, გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.

4 მაისი

ელვა. ბალტიის რკინის გზაზედ მიმავალ მატარებელს, რომელსაც კრასნოიარსკის რაზმის ორი ბატალიონი მიჰყავდა, სადგურ ბოკენგოფთან მომხდარ უბედურების დროს მოკლულ იქმნა 56 ჯარის-კაცი, მძიმედ დაშავდა 43, სუბუქად დაშავებულია 3 აფიცერი და 37 ჯარის-კაცი; მოკლულ იქმნა აგრეთვე 2 კონდუქტორი და 1 დაშავდა. ამ უბედურების მიზეზი ის არის, რომ ნიაღვარმა ლიანდაგი წალეკა და გააფუჭა. ამ უბედურების 25 წუთის წინ იმავე ლიანდაგზე მშვიდობიანად გაიარა საფოსტო მატარებელმა. ზემოხსენებული მატარებელი რომ მოდიოდა, ძლიერა ბნელოდა და წვიმდა; გარდა ამისა, იმ ადგილას შესახვევიც არის და ამიტომ მემაშინემ ვერ შეამჩნია, რომ გზა გაფუჭებული ყოფილა. რიგას ოლქის სასამართლოს პროკურორი ადგილობრივ ეძიებს საქმეს.

პარიზი. რესპუბლიკის პრეზიდენტთან იყო ბარონი მოსენ-ჰეიმი, რომელმაც ბ-ნ ფორს ხელმწიფე იმპერატორის მიერ გამოგზავნილი შემდეგი წერილი გადასცა:

„ბატონო პრეზიდენტო, ძვირფასო და დიდო მეგობარო, იმპერატრიცა და მე დიდად აღელვებულნი ვართ იმ საზარელ უბედურების ამბით, რომელიც მოხდა საქველ-მოქმედო ბაზარის დროს, პარიჟში. თქვენ იმდენად უწყით ჩვენი თანაგრძნობა საფრანგეთისადმი, რომ დარწმუნებულნი უნდა ბრძანდებოდეთ, როგორა ვსწუხვართ იმ უბედურებისაგამო, რომელმაც მთელი პარიზი ისე ძლიერ შეაწუხა და აღელვა. სულითა და გულით თანავუგრძნობთ იმ გულის წუხილს, რომელსაც უნდა ჰგრძნობდეთ თქვენ ამ უბედურების გამო და ვისწრაფით შევატყობინოთ ჩვენი და მთელის რუსეთის თანაგრძნობა.

„ამასთანავე ნება გვიბოძეთ, ბატონო პრეზიდენტო, ძვირფასო და დიდო ჩვენო მეგობარო, კვლავ გამოგიცხადოთ ჩვენი შეურყეველი და გულ-წრფელი მეგობრობა“. წერილს აწერია „ნიკოლოზი“.

ხელმწიფის წერილმა რესპუბლიკის პრეზიდენტთან მეტად იმოქმედა საფრანგეთის ყველა წოდების კაცზედ, განურჩევლად სხვა-და-სხვა დასებისა. პროვინციის გაზეთები სწერენ, რომ საფრანგეთის ერი მეტად ნასიამოვნებია ხელმწიფე იმპერატორის წერილითაო.

კონსტანტინეპოლი. 3 მაისს შეიკრიბა საბჭო, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა, რა პასუხი უნდა მისცეს ოსმალეთმა დიდ სახელმწიფოების მოწერილობაზედ. ამ დროს ამბავი მოვიდა, რომ 3,000 ბერძენი გემებიდგან გადმოსხდნენ პრევაზის მახლობლად, ჩრდილოეთისაკენ. ეს ამბავი ოსმალეთის მთავრობას ძლიერ არ ესიამოვნა. ელჩები ძლიერ გაჯავრებულნი არიან საბერძნეთის მთავრობაზედ, რომელიც შუამდგომლობასა თხოულობს და იმავე დროს ჯარებსა ჰგზავნის საომრად და იმ აზრისანი არიან, რომ ეს გარემოება შუამდგომლობას ხელს შეუშლის და თუ კვლავ ასე მოიქცნენ, შუამდგომლობას აღარავინ იკისრებს და ამით საბერძნეთის საქმე უფრო წახდებაო.

ათინა. დომოკოსთან კვლავ ომი დაიწყო. ოსმალელებმა ფარსალისაკენ დაიწიეს. კრიტიდგან დაბრუნდნენ 500 ჯარის კაცი და 20 აფიცერი. ხალხი ალტაცებით მიეგება.

ნიკოპოლის ზარბაზნები დაუშინეს.

დომოკოსში მთელ ღამეს კოკის პირული წვიმა მოდიოდა. გათენებისას გამოჩნდა ოსმალეთის მხედართა ჯარი, მაგრამ საბერძნეთის მოწინავე ჯარმა უკუ აქცია. ფარსალის გარშემო მდებარე სოფლებს ოსმალებმა ცეცხლი წაუკიდეს.

კონსტანტინეპოლი. ღამე ოსმალეთის მთავრობამ პასუხი გაუგზავნა დიდ სახელმწიფოებს. ოსმალეთი სთანხმდება ომი მოსპოს შემდეგის პირობებით: საბერძნეთმა უნდა გადიხადოს ოსმალეთის სასარგებლოდ 10 მილიონი, საზღვრები უწინდელი დარჩება, განახლებულ იქმნას ხელ-შეკრულობა ოსმალეთის ქვეშევრდომ ბერძნების შესახებ საერთა შორისო უფლებათა მიხედვით, დაწერილ იქმნას ხელ-შეკრულობა შესახებ ჩვეულებრივ (დამნაშავეთა?) გაცემისა და დაწესებულ იქმნას პორტო-ფრანკო—ვოლოსა და პრევეზაში ომის მოსპობისათანავე; ვისაც მინდობილი აქვს მოლაპარაკება მშვიდობიანობის ჩამოგდების შესახებ, ფარსალში უნდა შეიკრიბნენ.

ახალი ამბავი

⁂ უგანათ. თავ. სალომე ნიკოლოზის ასულის დადიან-მინგრელსკის დაქორწინება ქ. პეტერბურგში. ამ დღეებში, გაზ. „რუს“-ის სიტყვით, ჯვარის-წერა მომხდარა პეტერბურგის სრულიად გვარდიის ტაძარში ლეიბ-გვარდიის პოლკის პორუჩიკის თავ. ა. ნ. ობოლენსკისა და უგ. თავ. ნ. დ. მინგრელსკის ასულის სალომესი, რომელიც მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის ხელმწიფა იმპერატრიცათა სეფე-ქალად არის ჩარიცხული.

მეფე-დედოფალი დიდს ბედნიერებას ღირსებიან: დედოფლის მხრით მამად ხელმწიფე იმპერატორი ბრძანებულა, ხოლო მეფის მხრივ დედად—ხელმწიფა იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული,—დედოფლის მხრივ დედად ყოფილა გრაფინა ე. მ. ადლერბერგი და მეფის მხრით მამად—თავ. ობოლენსკი.

საქორწინო ნადიმზე კეთილ ინებეს მობრძანება: დიდთა მთავართა ვლადიმირ ალექსანდრეს ძემ, მეუღლითურთ, კირილე და ბორის ვლადიმირის ძეთა, ალექსი ალექსანდრეს ძემ, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ, დიმიტრი კონსტანტინეს ძემ, სერგეი მიხეილის ძემ და პრინცთა ალექსან-

დრე პეტრეს ძე და პეტრე ალექსანდრეს ძე ოლდენბურგელთა. ამათ გარდა, თითქმის მთელი პეტერბურგის უმაღლესი საზოგადოება იყო მიწვეული ქორწინებაზე.

⁂ **საკონცერტო წარმოდგენა.** დღეს, 6 მაისს, სათავად-აზნაურო თეატრში დანიშნულია საკონცერტო წარმოდგენა. ითამაშებენ „მშვენიერ ჰალლატეიას“ მუს. ზუპპესი ორ-მოქმედებიანი კომიკური ოპერა; ამ პიესაში ჰალლატეიას როლს შეასრულებს ქ. შერრი; სხვათა შორის ბ. ლიუმიერი აჩვენებს „სინემატოგრაფს“ (მოძრავი სურათები.)

„ჰალლატეიას“ როლი ერთი საუკეთესოთაგანია, თურმე, ქ. შერის რეპერტუარში. ეს როლი მას 50-ჯერ შეუსრულებია ქალაქ მოსკოვში და ყოველთვის აღტაცებაში მოუყვანია მაყურებელნი.

⁂ ნიკოლაევის ქუჩაზე ერთს ხელოსანს, ტომით ქართველს, ნაქირავები აქვს ოთახი მინას სოლომონის ძის სულხანიანცის სახლებში. 4 მაისს სახლის პატრონი მივარდნია ოთახში მოხელეს და უბრძანებია: „დამიცალე ამ წამში ოთახიო“!—ამ ორ-სამ დღეს მადროვე და დაგიცლი, სხვა ოთახი მინდა ვიშოვოო, უპასუხნია კრძალვით ხელოსანს, ამ პასუხზე (?!?) გაჯავრებულა ბ. ს—ცი, დაუწყვია ლანძღვა გინება, ჩამოუღია ოთახის კარები და თავის მოსამსახურისათვის ჩაუბარებია, „არ დაანებო არას გზითაო“. საცოდავი ხელოსანი დარჩენილა უკარო ოთახში; მიუმართნია პოლიციაში და იქ უთქვამთ: „ჩვენი საქმე არ არის,—სასამართლოში უჩივლე ს—ცსაო“.

რა ჰქნას საცოდავმა: უკაროდ დატოვებულს ოთახს მოუაროს, თუ სამართალი ეძიოს?

⁂ **ტფილისის ვაჟების 1-ლი გიმნაზიის „შეგირდთა დამხმარებელის საზოგადოების“ წლიური კრება.** კვირას, 4 მაისს, ტფილისის 1 ლი გიმნაზიის დარბაზში წლიური კრება ჰქონდათ ამავე გიმნაზიის „შეგირდთა დამხმარებელ საზოგადოების“ წევრთა. ამ კრებაზე, სხვა საგანთა შორის, ერთხმად დაადგინეს: სთხოვონ ბ. მთავარ-მართებელს თავ. გ. ს. გოლიცინს ინებოს საზოგადოების საპატიო წევრობა; ამას გარდა ვ. ლ. ველიჩკო აირჩიეს, „საზოგადოების“ წესდების მეხუთე მუხლის ძალით, სამუდამო წევრად.

⁂ **„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ შუამდგომლობა.** წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას უთხოვნია ბ. ტფილისის გუბერნატორისთვის ნება-რთვა სახალხო წიგნთ-საცავის და სამკითხველოს გახსნისა სოფ. უდეში (ახალციხის მაზრა).

⁂ **ფილოქსერით დაზარალებულ გორის მაზრის მევენახეთა შემწეობა.** ბ. მეურნეობის მინისტრს, კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის შუამდგომლობის გამო, დაუნიშნავს 1516 მან. 97 კაპ. იმ მევენახეთათვის დასარიგებლად, რომელთა ვაზებიც ასჰრეს ფილოქსერასთან ბრძოლის დროს. ამ ფულის წესიერად განაწილებისთვის ბ. მინისტრის რწმუნებულს უთხოვნია ტფილისის გუბერნატორისათვის, მიიღოს ჯეროვანი ზომები, რომ ყველას ზარალისა და გვარად ექმნეს აღმოჩენილი ნივთიერი დახმარება.

⁂ **ცეცხლის გაჩენა.** გუშინ საღამოს, იარმუკაზე, მუხრან-ბატონის შენობაში ცეცხლი გაჩნდა. ცეცხლის მქრობელ რაზმს მალე მიუსწრია და ჩაუქვრია. ზარალი ისეთი არ იყო, გვიამბეს მნახველებმა, რაც ქურდ-ბაცაცებმა დაიტაცეს და დაიპარეს დუქნებიდამ საქონელიო.

⁂ **ძაღლისაგან დაგლეჯილი ბავშვი.** გუშინ პოლიციის მეაოე ნაწილში, მიხეილის ქუჩაზედ, ჯაჭვიდამ აწყვეტილს ძაღლს საშინლად დაუსახიჩრებია და დაუგლეჯია ვილაც ბავშვი, რომელიც მაშინვე მიხეილის სამკურნალოში წაიყვანეს. ესეც ახალი ამბავი: მაშ ბავშვებმა ქუჩაშიაც ველარ უნდა გაიარონ!

⁂ **უსაფუძვლო საყვედური.** ამავე გაზეთის ფურცლებზედ ამას წინად თავადმა ჯამბაკურ გურიელმა საყვედური განმიცხადა ვეებერთელა წერილით, ჩემს განსვენებულს ძმას მამიას უმართებულოდ მიეპყარითო. ეს საყვედური ყოვლად უსაფუძვლოა. და ამას ცხად ვჰყოფთ სულ პაწია, ოც-სტრიქონიანი ბარათით.

თავადს მამია გურიელს ოც-და-ხუთის წლის წინად მიუწერია ბ-ნ გიორგი წერეთლისათვის: შენ შეუდარებელი ნიჭი გვაქვს პოეტურ ქმნილებათა დაფასებაში და მსურს მალე გნახო და მოვისმინო შენი მსჯელობა ერთი ჩემი ახალი პოემის შესახებაო. ეს კომპლიმენტი რომ საფუძვლიანი ყოფილიყო, ახლა ჩვენ გვეყოლებოდა უსახელოვანესი კრიტიკოსი, სადარი ბელინსკისა, ლესინგისა, ტენისა და ამ სასიქადულო კრიტიკოსს ერქმეოდა გიორგი წერეთელი. ეს ასე მოხდებოდა იმის გამო, რომ განსაკუთრებული ბუნებითი ნიჭი სიტყვა-კაზმულის ქმნილებების დაფასებაში ყველა ლიტერატორს ჰქმნიდა და ჰქმნის სახელოვან კრიტიკოსად.

ჩვენი ბატონი გიორგი-კი თავისს სიცოცხლეში ყველაფერს ეტანებოდა: ბელლეტრისტიკასაც, ისტორიასაც, არქეოლოგიასაც, კომერსიასაც, ჰეროტრატულს პოლიტიკოსობასაც; მაგრამ კრიტიკოსობას-კი ერიდებოდა, უფრთხოდა. მას კრიტიკული ან სულ არაფერი დაუწერია, და თუ დაუწერია, ისეთი უგემო და უმნიშვნელო, რომ თვითონვე დავიწყებია მეორე დღესვე. ხე ნაყოფით იცნობებისო, მოგეხსენებათ. იმ ხეს, რომელსაც ჰქვიან ბ-ნი გიორგი წერეთელი, ან არ მოუბამს კრიტიკული ნაყოფი, და თუ მოუბამს, უგემური და ჭიანი. ცხადია დღესავით, რომ იგი სრულიად მოკლებული ყოფილა საკრიტიკო გემოს, ალღოს და ნიჭსა, და ამ მხრივ ბუნება მას მოპყრობია სრულიად ულმობლად.

რად მიაწერა განსვენებულმა პოეტმა ბატონს წერეთელს ნიჭი, რომელსაც ეს უკანასკნელი სრულიად მოკლებულია? ან იმის გამო, რომ თვითონ იყო მოკლებული ნიჭსა გაერჩია შავი თეთრიდგან, ან არა და კერძო ბარათით უთხრა კომპლიმენტი, რათა სამაგიეროდ მიეღო რედაქტორ-ლიტერატორისაგან უფრო უდიდესი კომპლიმენტი ბეჭდვით. თუ პირველის მიზეზის საფუ ვლიანობას დაგვიმტკიცებს თავად გურიელი, ჩვენ დიდი სიამოვნები ავიღებთ ხელს მეორე ახსნაზედ, რომელიც მას ისე სწყინს, უთუოდ მ ტი ძმურის სიყვარულის გამო, რომელსაც ჩვენ დიდს პატივსა ვცემთ.

იაკობ გოგებაშვილი.

⁂ **მადლობის გამოცხადება.**—ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესა გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზ „ცნობის ფურცელ“-ში ადგილი დ უთმოთ ამ ჩემ მცირე წერილს: ამ წლის მაისის ორს მივიღე მ. დეკ ნოზი იოანე სერგიევისაგან ასი მან თი დასაარსებლად სამრევლო სკ ლისა კეთელარის წმ. გიორგ ეკკლესიასთან. ვსთხოვთ რუსულ გაზეთებმაც გამოაცხადონ ეს კეთ ლი შეწირულობა.

მღვდელი კეთილარის წმ. გიორგის ეკკლესიისა ბესარიონ ფირცხალავა.

⁂ **ქუთაისი. თავის დაწვა.** ქვეყანა ბევრს მოსძულდება ხოლმ მოსძულებია იგი ქუთათურ მეწვრ ლმანის ო—მე ბ—შვილის ცოლ საც. ქ. ქუთაისში ხმა დადის, რ 3 მაისს ო—მე ბ—შვილის ცოლ გადისხა თავზედ ნავთი და წაიკ ცეცხლი. თუმცა მალე მიეშველნ მაგრამ ველარა უშველეს-რა, და ვარი იმ ღამესვე გარდაიცვალა.

მიზეზს თავის მკვლელობისას რ მანტიულს ამბობენ. ვითომც ქალ გული სულ სხვაგზით რბოდა და ქმარმა შეუტყოვო.

⁂ **სოფ. ძირულა.** ერთი მაგ დითი ექ. თოფურიას ქველობის ამას წინად თქვენს პატივცემულ გ ზეთში იყო დაბეჭდილი ორიო

ვაჭრების საყურადღებოდ.

ცხოვრება და ვაჭრობა იტალიაში

ვეზუვი

გერკულანუმი. პომპეი. ვეზუვის შეხედულება. ვეზუვის მიდამოების მცხოვრებნი. მიწის-ძვრის შედეგი უბედურებანი.

ძნელია ასაწერადაც-კი, თუ რანაირი საუცხოვო, მომხიბლავი გზით მოგიხდებათ მგზავრობა ნეაპოლიდამ პატარა ქალაქ რეზინაში, 79 წ. ქრისტეს დაბადების წინად ვეზუვისგან ამოხეთქილ ქვიშითა და მტვრით დატანილ ქ. გერკულანუმზე. არა გვგონია, ქვეყნიერობაზე ამაზე უკეთესი ადგილი კიდევ მოიძებნებოდეს სადმე! ერთის მხრივ ალმასსავით ბრჭყვინავს ნეაპოლის ყურე, მეორე მხარეს კიდევ შემკულია ლიმონისა, ბროწეულისა და ატმის ჭალებით, რომელთ შორისაც ძლივს-ღა მოსჩანან მწვანეში ჩაფლული სახლები. ბოლოს მიხვალთ თვით რეზინში, სადაც მოგზაურნი მხოლოდ იმისთვის ჩერდებიან, რომ მისს ძირში დამარხულია ძველად განთქმული ქალ. გერკულანუმი.

აქ რეზინიდან შეგიძლიანთ ჩახვიდეთ ძირს და გაქვავებული ქალაქი სანთლის შუქით შემოიაროთ. ქალაქი დამიწებული კი არ არის, არამედ სისრულით შენახული. კედლებზედ ისევ არის ნახატები, მრავალი სურათები და მხოლოდ ბრინჯაოს ალამებს მოჰკიდებია ჟანგი ცოტაოდ.

ცეცხლ-მფრქვევი ვეზუვი, მუდამ ჟამს ბოლით სავსე, ძველად ოდნავადაც არ იძლეოდა ამის ნიშანს და ნიშან-წყალიც არ ეტყობოდა ცეცხლ-მქშინავობისა. მისი შეხედულობა მაშინ სულ სხვა იყო: მთის წვერი სალ კლდეთ იყო გადალესილი და ადგილ-ადგილ გარეულ ვაზს თავი ძლივს ამოეყო. ფერდოები საუცხოვო მინდვრებს ეჭირათ, რომელთ ქვემოდაც ნეაპოლის ყურესთან გაქავებული იყო ორი უმდიდრესი ქალაქი—გერკულანუმი და პომპეი.

79 წელს ქრისტეს დაბადების შემდეგ, 23 აგვისტოს, ღამით უცებ შეინძრა მიწა, იქუხა და ქვესკნელთიდამ მოისმა საშინელი გრგვინვა. ვეზუვი ძირიანად შეირყა, ცეცხლმა ამოხეთქა და ქვა-ნაცარს, ერთმანერთში ტალახად აზელილს, საშინელის სისწრაფით და ძალით ისროდა. მერე ცამ საშინლად დაიჭექა-იელვა და წამოვიდა წარღვნასებრივი წვიმა. სურათი სიჩქარით იცვლებოდა, გახურებული ქვები აქეთ-იქით საშინელის ძალით იფანტებოდნენ; გენიის ცეცხლი დატრიალდა მთის წვერზედ. ასეთივე ცეცხლის სვეტები აიმართა მრავალ ადგილას, რომელთა ალიც ღამით შორს, ძლიერ შორს მოსჩანდა და შიშის ზარსა და მწუხრის ზეწარსა ჰფენდა ყველგან. ხან-კი ერთბაშად ისეთი უკუნეთი სიბნელე ჩამოვარდებოდა, რომ მისი მსგავსი არსად თქმულა და გაგონილა. შეშინებულნი ახლო-მახლო მცხოვრებნი დაფეთებულ ნადირსავით უგზო-უკვლოდ გარბოდნენ აქეთ-იქით.

მთელს მიდამოს და მახლობელ ადგილთ მოედოთ გულ-საკლავი, გამგმირავი გოდება და ვაი-უშველებელი დაწიოკებულთა. გარბოდნენ, რაც-კი ძალ-ღონე ჰქონდათ, ვინც-კი საით მოასწრობდა და გზა-დაბნეულნი სიბნელეში ერთმანერთსაც-კი ველარა სცნობდნენ. ერთი ზარით მოსთქვამდა და უძახოდა შვილს, დედასა და ცოლს; სხვები ღმერთს ევედრებოდნენ, რათა მათთვისაც სიკვდილი ჩქარა გამოეგზავნა და ნუ მოესწრო ამ საზარელ სანახაობისთვის; მრავალნი-კი, შეწუხებულნი და სულ შეხუთულნი, გაიძახოდნენ, რომ ღმერთმა თავი გვანება და ეს უკანასკნელი საუკუნო ღამეა და დასასრული საწუთროსიო. ზოგნი ზღვას ეცნენ სახსნელად, მაგრამ აქაც უკეთესი სანახავი დაჰხვდათ. ხომალდებს ვეზუვის ამონაქშენი ცხელი ქვები და ფერფლი ეყრებოდა, რომლის სიცხოვლესაც იგი ვერ უძლებდა. მაგრამ ეს კიდევ არაფერი; ჩქარა მთელს ნაპირს ზღვისას ჰქა-ქუხილი მოედო, მთლად დაიმალა და მიუდგომელი შეიქმნა იგი. საბრალო ლტოლვილი ხალხი, მოადგებოდა-რა ზღვასა და ხსნას ვერსაით ჰხედავდა, ულმობელი ცეცხლის მსხვერპლი ჰხდებოდა ძალა-უნებურად. ჯანყ-ბურუსი თან-და-თან უფრო მატულობდა და თითქმის დასასრული არა ჰქონდა ამ საზარელს წამებს. ბოლოს, როგორც იყო, გაიფანტა ჯანყ-ბურუსი და კუკუნეთი-სიბნელე და გამოჩნდა ლურჯი კამკამა ცა, რომელსაც მხურვალე მზე ალმაცერად გაჰკროდა, მაგრამ ბუნება მაინც, მთელი 15 დღის განმავლობაში კიდევ ვერ დამშვიდდა და თავისს კალაპოტში ვერ ჩავარდა. როცა ყველაფერი მიწყნარდა, კაშკაშა მზემ ნათლად გამოაჩინა მთლად დანგრეული და უწყალოდ აღებული მიდამო, რომელიც მტერსაც თვალთ ცრემლს მოჰგვრიდა და აატირებდა: ქვა-კლდე-ღრეს მოეცვა აყვავებული ყდა მინდორ-ველისა, ირგვლივ დამწვარ-დახოცილნი უპატრონოდ ეყარნენ და სამი მშვენიერი ქალაქი—სტაბია, გერკულანუმი და პომპეი სულ მთლად დაემალა და მათი ნასახიც-კი არსად-ღა სჩანდა.

79 წლის შემდეგ კიდევ არა ერთხელ განმეორდა ვეზუვის ასეთივე ამოქშინვა; ერთი ამგვარი მახლობელს ხანშიაც მოხდა, სახელდობრ 1891 წელს, თუმცა ზარალი-კი მაგრე რიგი არაფერი მოუტანია. ამოქშენვის დროს ისვრის ქვებს, ქვიშას და მოწითანო ცეცხლ-წაკიდებული ტლაპო-ლავა მდინარესავით მოსჩქეფს. ასეთივე ლავა მრავალ ადგილას ამოდის, რადგან სკდება და პირს იხამს ხოლმე. ჰ! რა შემაძრწუნებელი და გულ შემზარავი სანახავი სურათია, როდესაც ეს უბედურობა ლავა ათასს მხრიდამ ამოჰქუხს! განა გადურჩებათ რამ ამ ცეცხლის მდინარეთ გაუნადგურებელი და დაუქცეველი, თუ-კი რამ შეჰხვდა გზაზედ! ეს გადმოხეთქილი ლავა შემდეგში ცივდება, ჰკვდება, თოფსავით ხმას იღებს და ბოლოს ქვა-კლდეთ იქცევა. როცა მოდის ლავა, ეს ცეცხლს მდინარე თან ჰქა-ქუხს და თან საზარლად მოჰღრიალებს, თითქოს ქვეყანა ჩამოუნგრევია და თან მიაქვსო.

ვერ წარმოიდგენთ, რამდენად ცხელია ლავა; მისი სიცხე ხშირად 800 გრადუსს აღემატება. წყალი-კი, რაც გინდა ვადუღოთ, 80 გრადუსს არ ასცილდება, მაშასადამე, ადვილად წარმოსადგენია, რამდენად უფრო ცხელი ყოფილა ლავა.

მაგრამ ვეზუვის ამოქშინვას ყო ლთვის ლავა არ ამოსდევს, რ გინდა იყოს; 79 წელს მაინც სრ ლად არ ამოყოლია. ეს შემთხვე იყო მიზეზი სწორედ, რომ ი მშვენივრად, უვნებლათ შეინახნ გადასილული ქალაქები. ლავარა არ უნდა, ლავა რომ ყოფილიყ მაშინ გადუწვავს აღარაფერს გაუ ვებდა და პომპეისა, სტაბიოსა გერკულანუმის ნასახიც აღა სად იქნებოდა.—ეს ქალაქე ლავით კი არა,—ფერფლით და ქვ ბით გადისილა და შემდეგში გამაგრ და.

გერკულანუმიდამ ორი საათის მ ნძილზე სძევს მეორე მსხვერპლი ვე ზუვისა—პომპეი; თუმცა ამ ქალაქ ფიფქი აქვს მარტო გადაკრული, მ გრამ მაინც ამ საუკუნის ნახევრა დის ყური არავინ ათხოვა. ეხლა- გამოთხარეს იგი და სრული ჩვიდმ ტი საუკუნის შემდეგ ჰპოვეს აქ ს სრულით შენახული ძველებური მხ ტვრობა და ხუროთ-მოძღვრება. ნახავთ კალატოზთ, რომელთათვისა შენების დროს ზედ მოუსწრია გაუქვავებია; კერპთ-თაყვანის მცემ ლთა სამსხვერპლოს; სკამებს, მაგ დებს, ასანთს და სხვა ავეჯს; გა ლილ სუფრა-საუზმეს, რომელთ შ ჭმაც აღარ დაუცლია მძვინვარე ბ ნებას; თეატრებში შესასვლელ ბ ლეთებს, რადგანაც ვეზუვმა ამო შინვა სწორედ წარმოდგენის დრო იწყო. მიწის სარდაფებში, ესრე წოდებულ დიომედოკთა საგვარე ლოსაში, მრავალი ძვირფასი ვერც ლის ჰურჭელი და ფულები ჰპოვე

ბიბლიოთეკა

სიტყვა, შესახებ ბ-ნ ს. ბ. თოფურიას ნაყოფიერ მოღვაწეობის შესახებ სამკურნალო ასპარეზზე იმერეთში.

მრავალ მისს კაცთ-მოყვარულ საქციელთა შორის, რომელნიც ყველამ უწყის იმერეთ-გურია-სამეგრელოში, ნება მიბოძეთ მოგახსენოთ ერთი, რომლის დაახლოვებით მცოდნე თვით თქვენი უმორჩილესი მონა გახლავთ. ხუთი თუ ექვსი წლის წინად, ერთ საღამოს, ვხედავ არა ჩვეულებრივს სურათს, რომელიც, რასაკვირველია, იპყრობს ჩემს ყურადღებას: რკინის გზის აქაურს სადგურს უახლოვდება შუახნის, სუფთად, მაგრამ ძლიერ ღარიბად ჩაცმული ქალი, რომელსაც ზურგზე ეკიდა თორმეტი წლის ქალიშვილი. ამ სურათმა მით უფრო დამაინტერესა, რომ ოფლში გაღვრილ-დაქანცულ დედას სახეზე ის ბეჭედი ესვა, რომლითაც ხშირად სულ ადვილად გაარჩევთ, თუ რა წოდებას ეკუთვნის ადამიანი, თუ გინდ დაფლეთილ ფარაჯაში გაჰხვიე. აღმოჩნდა, რომ ბავშვს ყოფილა ორის თუ სამის წლის ავადმყოფი, წელს ქვევით სრულიად მოძრაობა შეწყვეტილი და მიჰყავს ზესტაფონში ექიმთან. მემცნობმა, ს. თოფურიას გულ-კეთილობისა თვით იმ დროიდან, როცა იგი ჯერ კიდევ ქუთაისის გიმნაზიის შეგირდი იყო, ვურჩიე ამ ქალს მიემართა მისთვის. წერილი მთხოვა, ვერ მიცნობს და იქნება არ შევებრალოვო. მე წერილი არ მივეცი და დავარწმუნე, რომ მისთვის გაჭირვებული ნაცნობი და უცნობი ერთია-მეთქი და ასეც მოხდა. ეს იყო მაჭავარიანის ქალი, ქვრივი, აღარ მახსოვს კარგათ სოფელ საზეში თუ ზეკვატაში მცხოვრები (შორაპ. მაზრა). ავადმყოფმა დაჰყო თოფურიას საავადმყოფოში ოთხი თუ ოთხ თვე-ნახევარი, შემდეგ, თითქმის მორჩენილს, შაეყარა ყვავილი თუ წითელა, აღარ მაგონდება. თოფურიამ უქირავა კერძო ბინა (გადამდებ სენიანთ ის არ აწვენს საავადმყოფოში), უქირავა ცალკე მოსამსახურე, ექიმი და აქაც დაჰყო ბავშვმა თვე ნახევარი და შემდეგ სრულიად საღი ჩაბარა დედას. რასაკვირველია, არ აუღია არც ერთი მანათი. ეხლა ხან მე ვიკითხე ამ ბავშვის ამბავი და მისმა მეზობლებმა მიამბეს, სრულიად მორჩენილი, გათხოვილია და ეხლა ქმარ-შვილში არისო. ამ უკანასკნელის გაგება დარწმუნებული ვარ, ბ-ნ სამსონსაც ასიამოვნებს. მე მრწამს, რომ ამ ქალისათვის სიცოცხლის ჩუქება ბ-ნს თოფურიას დაუჯდებოდა არა ნაკლებ 500 მანათისა.

რომ არ დავთვალოთ წვრილმანი მაგალითები მისის კაცურ-კაცობისა, მე დარწმუნებული ვარ, ამ მოთხრობილის მზგავსი მსხვილებიც არა ერთი და ათი იქნება, რომელნიც აღუნიშნავნი რჩებიან.

მითხარით, მიმითითეთ, ვინა სდებს ამდენს შრომასა და ხარჯს გაჭირვებულთათვის ჩვენს ქვეყანაში, არა თუ ბ ნ თოფურიასავით ჯიბე გახვრეტილები, არამედ უფრო შეძლებულებთაგანი?

ილ. ი. ქიქინაძე.

⁂ **თელავი. ქალაქის უდუნობა და ღამის რაინდები.** ამ ბოლოს დროს თელავში მეტად გათამამდნენ ღამის რაინდი ქურდ-ბაცაცები; თითქმის ყოველ ღამე რომელიმე მოქალაქეს მყუდრო ძილს უფრთხობენ და თუ ბედი გაუღიმებთ და დღიურის მუშაობიდამ დაღლილნი სახლის პატრონნი ღრმა ძილს ვერ გამოერკვნენ, რაინდები თავისუფლად მოითბობენ ხოლმე ხელს მის ჭირის ოფლით შეძენილზე. რა საჭიროა ჩამოვთვალოთ, თუ ვის რა და როდის მოჰპარეს, საკმარისია, რომ იგი ქურდები დღევანდლამდე ვერ შეუპყრიათ და იმათი თავისუფალი ნავარდი შეუზღუდავია... რათ დატყდა თელავს ესეთი უპატრონობა? თითქო თელავს საკუთარი მომვლელი, პატრონები ჰყავს? რას უყურებენ ჩვენი „ღლასნები“? განა მოქალაქეთა ქონება შეძლების უზრუნველ-ყოფა მათი მოვალეობა არ არის? მაგრამ იქნება ჯერ სხვა საქმეები აქვთ! ღვთის წანაშე, რომ კრებები აქვთ ხოლმე „ღლასნებს“, ლაპარაკობენ ხოლმე კიდეც, „რეჩებიცა“-კი არის ხოლმე „ზასედანიაზე“ და... სხვა არაფერი. საქმე? აგერ ოთხი თვე მიდის, რაც თელავის თვით-მმართველობამ თვისი მოქმედება დაიწყო, კრებებიც ჰქონდა, მაგრამ უთქმელათაც თვით „ღლასნებმა“ უკეთ უწყიან თვისი გაკეთებული საქმენი.....

მართალია, ბევრი საჭირო საქმეები აქვს თელავის თვით-მმართველობას, მაგრამ ქალაქში ასე გათამამებულს ქურდობასაც ლაგამის აყრა უნდა და ეს უეჭველად მალეც უნდა მოხდეს. აქაც სხვაზე მითითება არაფერს არგებს ქალაქს. თელავის ყველა მკვიდრნი და თვით ქალაქის მმართველნიც დარწმუნებულნი არიან, რომ ქალაქის პოლიცია მეტი უფხო უმოქმედო რამ არის, მათის იმედით მოსვენებაში ყოფნა არაფერი შვილია და სწორედ ამიტომ უნდა თვით ქალაქის მოურავმა თავს იდოს ამ არა სასიამოვნო მოვლენის მოსპობა. თორემ, ვიმეორებთ, მეტი წათამამება ქურდებისა განა ღა შეიძლება? ამ აპრილში მომხდარი მათი ამბები საარაკო ამბებს მოგაგონებთ, თორემ რიგსა და წესზე გაწყობილს ქალაქში მათ რა ალაგი აქვთ!

ქალაქის, მის მკვიდრთა და მეპატრონე მეთვალყურეთა აბუჩათ აგდება განა მეტი-ღა შეიძლება, როგორც თელავის ქურდებმა აიგდეს... აღდგომის ღამეს, ერთს მოქალაქეს და ერთს მოხელეს სააღდგომოთ მომზადებული სანოვაგე მოჰპარეს. წინადვე ეკკლესია გასტეხეს; არა ერთი და ორი სახლი გაქურდეს და ყველა ამეებმა ჩაილულის წყალი დალია! ქურდები ვერ აღმოაჩინეს! სასაცილოა, სამწუხარო რომ არ იყოს!.. განა ყველა ამ წვრილმან ქურდობის ჩამდენი ისევ თელავის „ძმა ბიჭობა“ არ არის? განა ესენი ყველანი იქვე, თელავში უშიშრად არ დაიარებიან? ამეების ჩამდენი გადმოვარდნილი შემთხვევით ავაზაკი ან ქურდი არ არის! ესენი შინაური, ნაცნობი, მეზობლის ნაშრომით ხელის გათბობას ჩვეული ვაჟბატონები ბრძანდებიან და იმათი მიგნება სრულიად ძნელი არ არის თუკი...

თუ საქმეს მალე არ მიატანეს რაკი თელავის ახლო-მახლო ტყე შეიფოთლა, ქურდები თვისს ბინას იქ გადიტანენ და, რასაკვირველია, ცხვირ-წინ თუ ვერასა ვხედავთ, გაფოთლილს ტყეში ხომ სრულიად უძლური იქნება ჩვენი თვალთა ხილვა.

უნინარი.

⁂ **ქ. ოზურგეთი. ჩხუბი გამთილ-შოზილთა კრებაში.** აქაც, სხვა ადგილებსავით, პირველ მაისში საერთო ნადიმი გაიმართა, რასაც უფრო ვაჟები და დარბაისელი ხალხი დაესწრო. თვითეულმა სადილის ფული გამოიღო ორ-ორი მანათი და ისადილეს კიდეც ბაღში. ამ სადილზე, რა თქმა უნდა, დაესწრნენ აქაური ახალგაზდა ყმაწვილებიც. საღამოს, როდესაც შეზარხოშდნენ, დაიწყეს ცეკვა და სიმღერა; ერთმა ყმაწვილმა გ. დ—ძემ თავის შექცევის, შემდეგ ხუმრობით ხელი დაჰკრა ზარზე იქ მდგომ ვაჟართაგანს გ. გ—ძეს, მაგრამ ეს უკანასკნელი მოუბრუნდა, დარტყმა აგრე არ უნდაო, და სილაც სტკიცა ყბაში. ამას მოჰყვა საერთო ჩოჩქოლი და ჩხუბი, რამაც ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე.

დ. ქარცივაძე.

⁂ **ქ. ფოთი. ბურთაობა.** როგორც მკითხველებმაც უწყიან, ქ. ფოთში ყოველ წლივ 1 მაისს ბურთაობა იმართება, რომლის საყურებლადაც ქუთაისის გუბერნიის სხვა და სხვა კუთხებიდამ დიდ-ძალი ხალხი ჰგროვდება ხოლმე.

წელსაც, 1 მაისს, ფოთში გაუმართავთ ბურთაობა. დილით წვიმა მოსულა და ყველანი შეუშინებია, ვაი თუ ცუდმა ტაროსმა ხელი შეგვიშალოსო, მაგრამ, ბედზე, ნაშუადღევის სამს საათზე მშვენიერი დარი დამდგარა. საბურთავო მოედანზე ხუთი ათასამდე კაცს მოუყრია თავი, მოთამაშესა და მაყურებელს. $4^1/_2$ საათზე გაუგდიათ 38 გირვანქიანი ბურთი. გამარჯვებული გურულები დარჩენილან (გურულები ერთის მხრით არიან ყოველთვის და მეგრელები—მეორეს მხრით); ბურთი ლელოზედ რომ მიუტანიათ, ატეხილა ჩხუბი, ქვები და ხელ-კეტები სეტყვა-

---

მრავალთ სახლის კარიც ღია დარჩენიათ და ბეღლებიც სავსე ხორბლეულით, გამომცხვარი პური, ფარჩეულობა და სხვა. პატრონების სახელები ახლაც ისევ აწერია კარებზედ.

პომპეიში აღმოაჩინეს არამც თუ ქუჩები და მოედნები, არამედ მრავალი სახლები და შენობებიც. ჰნახეს ერთი ალალმებით სავსე შენობა, რომელშიაც სასამართლო და ეკკლესია, თურმე, ყოფილა. ჰპოვეს ორი დიდი თეატრიც, რომლის მოწყობილება დღემდის ხელუხლებლად შენახულა. ეხლა თითქმის ქალაქის ერთი მეოთხედი მაინც არის გათხრილ-ნანახი, მაგრამ მათი მოწყობილება, რომელნიც ისე ნათლად გვიყენებდნენ რომაელთ წარსულ ცხოვრებას, გადატანილ იქმნა მუზეუმებში, რის გამოც ისინი ეხლა სრულიად დაცალიერდნენ. პომპეი რომ ლავას დაეტანა, იგი ყველა ამას უწყალოდ შთანთქავდა და მისი გათხრა-მოძებნაც შეუძლებელი-ღა იყო.

ვეზუვი ზოგჯერ იმ ხნობამდის იყო მიჩუმებული და ცეცხლს აღარ ქშინავდა, რომ მთელი ტყეები შენდებოდა ხოლმე იმის ნაოხარზედ. მაგრამ XVII საუკუნის დასაწყისიდამ ხშირად იწყო ამოქშინვა, რის გამოც ტყე ვერა ხეირობს.

ვეზუვის ირგვლივ მიდამოებში გაფანტულია ღარიბ ხალხთა სახლ-კარი; რამდენადაც უახლოვდებით ვეზუვის, იმდენად უფრო სქლად არის დასახლებული ხალხი. ვერც მათ ძირში საუკუნოდ დამარხული ქალაქი დ ვერც ვეზუვის ბენლ-ბურუსი, რომელიც არა ერთსა და ორს მისს დაწიოკება - უბედურებას აგონებს მცხოვრებთ, არ აშინებთ და არ გაურბიან: ისე გულ-გამეხებით და მედგრად შესცქერიან, თითქოს აქ არაფერიაო. თუ ვეზუიმ ძველებურად თავი მოიგიჟიანა, წაჰრეცხა მათი სახლ-კარი და თვით იგიც დააწიოკა, ის მაინც თუ გადაურჩა ამ უბედურებას და უვნებლად თავი იხსნა, ხელ ახლავ დაესახლება მისსავე ძირში, თითქოს უმისოთ სიცოცხლე და ცხოვრება არ შეუძლიანო. ახალი ამონაქშენი ახალს მასალას მისცემს სახლის ასაშენებლად და მის ნოყიერს ფერფლზედ კიდევ ახალს ვენახს გააშენებს და მინდვრებს გადააჭრელებს, მაგრამ მაინც ვეზუვის მარტო ღარიბ ღატაკნი შეჰკედლებიან, რომელთ უილაჯობის გამო სხვაგან ადგილი ვერ უშოვნიათ.

რა ნაირის სიხარულით ევსება გული საბრალო გლეხკაცს, როდესაც ჰხედავს, რომ მისს მინდორველს და ხეხილს კარგი მოსავალი მოაქვთ: ბროწეული წითლად ღაჟღაჟებს, ვაზი კიდევ მტევნების სიმრავლეს ვერ იმაგრებს. იგი ოცნებობს, რომ არამც თუ ყოველს გადასახადს ადვილად გადაიხდს, არამედ შინაც კიდევ დარჩება და შავი დღისათვის შეინახავს. ეს იმედი და მოლოდინი კარგი მოსავლისა ფრთებს ასხავს და განუსაზღვრელს ოცნებას აძლევს ვეზუვის მეგობართ. დილით საღამომდის წკრიალა, უზრუნველი სიმღერები გაისმის ყველგან, ხალხი ცოცხლდება, კისკასობს და საკვირველია ამგვარ განცხრომის წუთში, ერთხელაც არ გაახსენდება მკაცრი, დაუნდობელი მეზობელი, რომელსაც შეუძლიან ერთს წუთს იჭექოს, ამოიქუხოს და მთელი მისი ტკბილი ოცნება და მოლოდინი ცეცხლს მისცეს.

მზე დასავლეთისკენ გადიხრის; გლეხ-კაციც, დღიურის ნამუშევრით დაღალული, სახლისკენ ეშურვის და უდარდელად მიეცემა ტკბილს ძილს. მაგრამ აგერ შუაღამისას იჭექა, მთამ რაღაც საზარი ღმუილი გამოსცა, ზაზანი გააქვთ სარკმლებს, კარებს, მთელი სახლი თითქოს ჩამონგრევას იქადნის, ამას კიდევ საშინელი კორიანტელი და ქარ-ტეხილიც ემატება, გულ-გახეთქილი გლეხ-კაცი ეცემა კარს, გააღებს, გაიხედავს და რას ჰხედავს: მოდის მრისხანე მისი დამანელებელი მტერი — საზარი ლავა. იგი ნელის ნაბიჯით უახლოვდება მისს მწირს ქოხს და ცეცხლის თვალებს აბრიალებს და საშინელი ჭაქი-ჭუქი გაუდის, თითქოს შორიდამვე უყვირის: კარი გამიღე უნდა დაგაქციოვო. მინდვრის ბალახები, ხეხილნი საცოდავად ხტიან მისს მოახლოვებაზედ, თითქოს უნდა გაექცნენ, მაგრამ ფეხები ნებას არ აძლევსო. მოდის მოხშუის, საზარელის ძალით და იერით ეცემა სახლებს, ვენახებს, მუსრს ავლებს ყველაფერს; ერთ ადგილს ჰხედავთ ცეცხლ-წაკიდებულს სახლებს, რომელთ ალიც ზეცას სწვდება, მეორეს კიდევ მთლად მოგლეჯილს შენობას, რომელსაც ცეცხლი უკიდია და ისე მოაქანებს თავის ზვირთთა შორის, სანამ მასაც სხვას არ დაახლის და არ დაამსხვრევს; ყველგან სულ-შემხუთველი და ჯოჯოხეთებრივი სუნია გოგირდისა, რომელიც სუნთქვას გიხშვისთ და ჰაერს გიშხამავთ. კალამს არ შეუძლიან სისრულით დაასურათ-ხატოს აუწერელი უბედურება, სასოწარკვეთილება და თავგანწირულება მცხოვრებთა: ჰხედავთ, ლავით ივსება ქვედა სართული სახლისა, რომლის ზედა ნაწილიც ცოტა ხანს გაჩერებულია ჰაერში და ბოლოს იმასაც ნთქავს და მიაქვს.

ყველგან გულ-საკლავი, გამგმირავი ხმა ისმის: ქალები, ბავშვები, დიდი, პატარა ღმერთს ღაღადისით შველას შესთხოვენ, ცხოველები და ფრინველნი ბღავიან საცოდავად. ეკკლესიებიდგან ზარის ხმა ისმის. ღმერთს შველას სთხოვენ, მაგრამ შორს გადგომილი ხალხი ჯერ კიდევ არ გარბის: ის მხურვალედ, თვალცრემლიანი შესთხოვს და იმედი აქვს, „წმ. იანუარი უშველის! იგი დაიცავს დავრდომილს!„ ყოველი მათგანი მოვალეობად სთვლის, გაქცევამდის ამ წმიდანის ხატი მიაკრას ხეზე ან გზაზე თავის სახლის წინ, რის შემდეგ ყველანი იყრებიან და სისწრაფით ეშურებიან ნეაპოლში, გზაზედ კიდევ სხვებიც ემატებიან, ერთმანერთს შესტირებენ და ამგვარის გლოვა-მწუხარებით შედიან ქალაქში.

თუმცა ცეცხლის მდინარე უკან დარჩათ, მაგრამ მისგან დაყენებული კორიანტელი-კი ისევ თან მისდევთ და არა შორდებათ. ბოლოს ყველანი საშინელს დაღალვასა და მოწყვეტასა გრძნობენ, ეცემიან მიწაზე და მრავალთ იქვე ეთხრებათ საფლავი. ამ ხანში-კი ვეზუვის გარშემო მშვენივრად მობიბინე მდელოები საზარ უდაბნოდ გადიქცევა. რაც ლავას გადურჩება, მას ფერფლი მოუღებს ბოლოს.

ნეაპოლამდის მიაღწევს თუ არა ვეზუვის უბედურების ამბავი, მთელი ქალაქი შეიძვრის: მთავრობა მაშინვე რაზმებს ჰგზავნის დაწიოკებულთა საშველად; დოქტორებს, ეტლებს, ცხენებს, ვირებს,—მაშინვე ფიცხლავ აფრენენ. ნეაპოლში მაშინვე პროცესსიასა ჰმართავენ: რამდენიმე ასი ქალი თმა გაწეწილი და ძოწეულით მოსილი შავის ჯვრითა და სამღვდელოებით მიემგზავრება იანუარის ალალმისაკენ, რომელიც ხიდის ყურეზედა სდგას და გაწვდილის ხელით წყევა-კრულვას აყრის ვეზუვის, რომ მცხოვრებნი და ქალაქი არააწიოკოს. ძნელი წარმოსადგენია, თუ რა გამგმირავს შთაბეჭდილებას ახდენს, მთლათ გაჟრჟოლებთ, გარყევთ და გულის ძირამდის გწვდებათ მათი გულ-საკლავი ვედრება-ხვეწნა და ღაღადისით გალობა წმიდანისადმი. საღამოზედ კიდევ უფრო მეტს სამზადს უკეთებენ იანუარის: თავით ფეხამდის ლენტებით, გვირგვინებით და ყვავილებით ამკობენ.

ამ დროს კი ნეაპოლი გამოქცეულ-აწიოკებულ ხალხით ივსება. საშიშ ქალაქების საპატიმროებიდამ გამოჰყავთ ტყვენი და ნეაპოლში მოედენებიან. იქვე მიიჩქარიან მღვდლები, ბერები, მონოზნები, ჯარის კაცნი, მენახირენი და ბოლოს ძოწეულით მოსილნი თმა-გაწეწილი ქალები. ამ დაწიოკებას, ყვირილს, მოთქმა-გოდებას, გულსაკლავს გალობას ემატება კიდევ რამდენიმე ათასი სამგლოვიარო ზარის რეკვაც. ეკლესიები იწვევენ ხალხს სალოცავად, ხა

ივერიელი

სავით დაჰქროდნენ; ბევრს თავ-პირი დაამტვრიეს და სისხლი ადინეს და, რა თქმა უნდა, უფრო დიდი უბედურება დატრიალდებოდა, რომ დროზედ პოლიციის ზომები არ მიეღო და ჯარის-კაცთა საშუალებით არ გაეფანტა მოჩხუბარნი.

⁂ **თიანეთის მაზრა. წყალში დამღრჩვალი.** დადგა გაზაფხული და დაუსრულებელი ნიაღვრები მოჰყვა. კიდევ კარგი, რომ წარსულწლებსავით წვიმა გადუღებელი არ არის, რაც, ცოტა არ იყოს, იმედს იძლევა, რომ წარსული წლების პურის მოუსავლობა შეიძლება თიანეთის მაზრას წელს ასცდეს. ვნახოთ! ნიაღვარ ჰქა-ქუხილს ერთი უბედურებაც თან მოჰყვა. აპრილის 28-ს საღამოსმდ. იორში გაუფრთხილებლობის გამო ჩავარდა სოფ. ბოდახევის მცხოვრების პაპილა გულიაშვილის სამი წლის ვაჟი ბესერა და დაიხრჩო. დამხრჩვალის გვამი იმ დღესვე იპოვეს.

— **მეხით მოკლული კაცი.** 1 მაისს სოფ. არტანის მახლობლად ცხენით მიმავალს ს. მგელაციხის მცხოვრებს, ცელქა კრინწაშვილს დაეცა მეხი და მხედარი ცხენითურთ იქვე გააქრო.

⁂ **დუშეთი. წმ. გრიგოლის დღეობა.** აწინდელმა დახლართულმა გარემოებამ ბევრს ჩვენს—ძველებურ ადათს მოუღო ბოლო, ბევრს ჩვეულებას უცვალა ფერი, მაგრამ მაინც კიდევ საქართველოს ავლადიდების აუზი სრულიად არ დამშრალა: დღესაც ბევრგან თავს ჰყოფს, როგორც საერო აგრეთვე საეკკლესიო დღესასწაულები. ერთი ამნაირი ხატობა დუშეთმა და მის მიდამოებმა იდღესასწაულა პირველ მაისს, ს. მილახვრიანთ კარში, ქ. დუშეთიდამ ვერს ნახევრის მანძილზე. ეს ხატობა გახლავთ წმ. გრიგოლის დღეობა *).

წმ. გრიგოლი ხალხში ძრიელ ცხოვლად ითვლება და მის კარ-წინ ბევრმა ღამის მთეველმა და შეთქმულებმა მოიყარა თავი. დღეობაში ცეკვა-თამაშსაც ჰქონდა ალაგი, ჭიდაობასაც და ცხენის ჯირითსაც. წმ. გრიგოლის დღეობა ოთხშაფათიდამ იყება და, ცოტა არ იყვეს, საგულისხმიეროც არის მისი დასაწყისი: დუშეთის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიის სამრეკლოდამ ჩამოაქვთ ძველთაგან ძველი ზარი, ეკკლესიიდამ გამოაქვთ დიდი ვერცხლის ჯვარი, ზედ წმ. გრიგოლია დახატული, ამქარი ბაირაღით წინ გაუძღვება და აქედამ მიდიან ძველ ნანგრევ ეკკლესიაში, ყარანგოზიანთ ქედზე.

ამ ეკკლესიიდამ, მღვდელი მხარზე ჯვარ გადებული, ბაირაღით და ზარის რაკა-რუკით შემოუვლიან ქ. დუშეთს და მერე მინდორ-მინდორ დაჰყვება მილახვრიანთ კარისკენ. ხალხი ლოცულობს: „წმ. გრიგოლ! შენ შეეწიე ჩვენ ერსა და ბერსა... ტერი დაუმარცხე და კალია გაუწყვიტე. · უშვილო დედაკაცს შვილი მიე და მამა-კაცს კაი მარჯვენა... მთელს საქრისტიაიოს მოწყალე თვალით გადმოხედე და ჩვენ პატარა ქვეყანას გაუმარჯვე“... საყურადღებო ის არის, რომ როგორც დღეობა ძველთაგან ძველია, აგრეთვე მისი მწირავი მღვდელი არ არის ჯეელი: ხნობით იქნება ას წლამდე და ჯერ კიდევ ყოჩაღია... კიდევ სათქმელი ის გახლავსთ, რომ სადღეობოთ ზოგიერთ მლოცველებთ ნაზუქი და ქადა აქვთ მომზადებული და გამვლელ-გამვლელის პირის პატივში არიან. დღეობაში რიგს იცავდა ბოქაული გიორგი ჭონქაძე და მხიარულად და მშვიდობით ჩაიარა.

დუშელი ვანო.

თეატრის მატიანე.

საოპერეტო წარმოდგენები. კვირას, 4 მაისს რუსულმა საოპერეტო დასმა წარმოადგინა სათავად-აზნაურო თეატრში სამ-მოქმედებიანი კომიკური ოპერა „ბოშების თავადი„ მუს. სტრაუსისა.

წარმოდგენამ კარგად ჩაიარა და საზოგადოებაც ნასიამოვნები წავიდა. განსაკუთრებით საუცხოვო იყო ქ. შერი, რომელმაც ამ დღეს პირველად მიიღო მონაწილეობა საფფის როლში. საზოგადოება აღტაცებაში მოჰყავდა მისს ხელოვნურს თამაშსა და სასიამოვნო ხმას. მას მიართვეს თაიგული და ბევრის ტაშის-ცემითა და „ვაშას ძახილით დააჯილდოვეს.

ჩვეულებრივ ძრიელ კარგები იყვნენ: ბ. რეზუნოვი—ბარინკაის როლში და ბ. ბოგდანოვი—კალმან ზუპანის როლში. დანარჩენებიც ხელს უწყობდნენ მათს ხელოვნურს თამაშს, და ხოროსაც უფრო მეტი მომზადება ეტყობოდა, ვიდრე ადრინდელ წარმოდგენებზე.

ხალხი ბლომად დაესწრო.

სასამართლოს მატიანე.

კიდევ უპატენტო აბლოკატზე. მოქმედება სწარმოებს დუშეთში; ოლქის სასამართლოს სესსიაა; იწყება საქმის გარჩევა, წინ წარდგნენ მოწმეები. უეცრად ერთი იმათთაგანი მიუბრუნდება მსაჯულებს და ეკითხავს: ,,ჩემი ადვოკატი არ მოსულა... საქმე გადადევით სხვა დროისთვისაო‘‘.

— რა საქმე?

— ჩემი საქმე... კაცის მოკვლას რომ მაბრალებენ!.. სთქვა ეს გლეხმა და უწყებაც ამოიღო ჯიბიდან. გასინჯეს უწყების პირი და აღმოჩნდა, რომ გლეხი იყო დაბარებული, როგორც მოწმე და არა როგორც დამნაშავე. თარჯიმანმა ბ. შ—ოვმა აუხსნა და განუმარტა გლეხს, რომ ის მოწმეა და არა ბრალდებული, მაგრამ გლეხი თავისას არ იშლიდა:

— არა, ბატონო, უწყება რომ ჩავიბარე, მე მაშინადვე ადვოკატთან წავედი, იმან რუსული კარგად იცის... კურსონიკია... იმან მითხრა: ბრალი გედება, კაცის მკვლელი ყოფილხარ და, თუ ათს თუმანს მომცემ, გაგამართლებო. თუმცა, ღმერთმა იცის, კაცი არავინ მომიკლავს, მაგრამ ძალიან შემეშინდა; ვიშოვნე, როგორც იყო, კაი გაგლახით ხუთი თუმანი და მივუტანე ჩემს ადვოკატს, იმ პირობით, რომ თუ გამამართლებდა, კიდევ უნდა მიმეცა რამე. მაგრამ დღეს არსადა სჩანს ჩემი ადვოკატი და...

— ვინ არის შენი ადვოკატი? გლეხი ასახელებს თავისს ადვოკატს.

გაკვირვებაა!!... მაგრამ გაკვირვებით ვერ აღაგმავთ ამისთანა უსინდისურს დანაშაულებას. აქ საჭიროა მკაცრი ბეჭვდითი სიტყვა და იმ ვაჟბატონის სახელის გამოქვეყნება, რომ ყველამ შეაფურთხოს პირში, მაგრამ სად არის ამისთანა გულადი და მხნე მწერალი, რომ არ შეუშინდეს 1039 და 1040 მუხ. სასჯელთა დებულებისას?

ჩვენ, ჩვენის მხრივ, იმედი გვაქვს, რომ ბ. გაზელი, მხნე და მოუღალავი მწერალი, არ შეუშინდება არავითარ კანონის მუხლებს, როცა-კი საქმე სიმართლესა და ჭეშმარიტებას შეეხება და ჩვეულებრივის ნაღვლითა და ძლიერებით ღირსეულად გაჰკიცხავს იმ ვაჟბატონს, რომლის სასირცხვილო და უსინდისო საქციელი ზევითა გვაქვს მოთხრობილი და რომელსაც ბ. გაზელი, როგორც დუშელი, კარგად უნდა იცნობდეს.

—ვა.

წვრილი ამბავი

მწვალებლებისაგან თავის მოკვლა. „ოდეს. ფურც.“ მოჰყავს ერთი საოცარი და დაუჯერებელი ამბავი. ათი მწვალებელი (раскольникъ) დნესტროვის ლიმანის მახლობლად, ცოცხლად დამარხულან. ორი წლის წინედ მწვალებლებში გავრცელდა ხმა, რომ 1 იანვარს 1897 მსოფლიოს დასასრული იქმნებაო, კუდიანი ეშმაკი გააწყობს ყველაფერს ქვეყნიერებას და მეორედ მოსვლა დადგებაო. წელს მომხდარ სახალხო აღწერილობამ ხომ უფრო დაარწმუნა მწვალებლები მეორედ მოსვლაზედ. მეორედ მოსვლის მოახლოვებამ ხალხს აღუძრა სურვილი ცხონებისა. როდესაც აღმწერელი კარს მიადგა, თურმე, კარი მაგრად ჩაიკეტეს ამ მწვალებელთ და მხოლოდ ზევით ბანიდამ ამოსძახეს, რომ ნებას არ მისცემენ აღწერვისას. პოლიციამ ძალით გამოიყვანა ხუთი მათგანი და დააპატიმრა, მაგრამ რა იქმნენ სხვანი, როდესაც სახლში, თურმე, როგორც შეიტყვეს, გაცილებით მეტნი ჩაკეტილიყვნენ? როცა ძებნა დაუწყეს ერთი დამწყვდეულთაგანი გამოტყდა: 17 კაცი უკვე სიცოცხლეს გამოესალმნენო. მათ მოისურვეს სულის საცხონებლად, წამების მიღება, რისთვისაც საროდაფში ჩაეთხარათ მიწა, შიგ გამომწყვდეულიყვნენ და შიმშილისა და სიცივისაგან დახოცილიყვნენ. საბრალონი, თურმე, ისე ჩქარა გახრწნილიყვნენ, რომ სახე აღარც-კი ეტყობოდათ. ერთს ქალს ორი პატარა ბავშვი ჰყოლია, ისინიც თან ჩაუყვანია და გამომხრჩვალან დედასთან ერთად. როდესაც ჰკითხეს დარჩენილთ: რატომ თქვენ-კი არ მიჰბაძეთო. იმათ პასუხად, თურმე, ის-ღა უთხრეს, რომ ვერ მოვასწარითო.

საღამოს დეპეშა

5 მაისი.

ეკატერინოსლავი. სადგურ ეკატერინოსლავის მახლობლად საქონლის მატარებელი დაეჯახა მუშა მატარებელს. დაიმტვრა 7 ვაგონი. ერთი მუშა მოკლულ იქმნა; დაშავებულნი არიან მემაშინე, 2 კონდუქტორი და რამდენიმე მუშა.

კონსტანტინეპოლი. მემკვიდრე ცესარევიჩმა ალჟირიდგან ბასფორზედ გამოიარა და კავკასიაში მიბრძანდება.

კონსტანტინეპოლი. ოფიციალურად. მეორე დივიზიის სარდალი ლოროსიდგან იუწყება, რომ 15 ბერძენმა, სასტიკის ბრძოლის შემდეგ ზეითუნისაკენ დაიწია.

ათინა. საბერძნეთის მიერ დიდსახელმწიფოთა მიწერილობაში სწერია, რომ თუ ვინიცობაა ეპირში ოსმალების წინაალმდეგ, ბრძოლა ასტყდა, პასუხის მგებელნი ჩვენ არ ვიქმნებით, რადგანაც ოსმალეთის ჯარი გრიბოვოს ამაგრებს და არტაზედ იერიშით მისასვლელად ემზადება. საბერძნეთი სჩივის აგრეთვე, ოსმალეთი პატარა გემების შეიარაღებას შეუდგა, ოსმალებიც ზღვაში ძარცვას დაიწყებენო. [illegible] გაიხმეს მეორე რაზმი ჯარისა. მეს მესაც თურმე მალე გაიხმობენ.

კონსტანტინეპოლი. ელჩებ ჰფიქრობენ, რომ ოსმალეთმა იმიტომ განაცხადა ისეთი მძიმე პირობები მორიგებისათვის, რომ ეპირში ბერძნებმა გაილაშქრეს ოსმალეთზედ. ამბობენ, ოსმალეთის მთავრობა ა სასტიკ მოთხოვნილებას დაუკლებსო.

ლარისა. ოსმალები მხნედ შეუდგნენ დომოკოსის ალების საქმეს. დიდ ძალი ჯარი მოდის დომოკოსი დასაცველად.

კანეა. აქედგან გაგზავნილ იქმნ 1,000 ჯარის კაცი ბერძნებისა.

კონსტანტინეპოლი. ოფიციალურად. ბერძნები სცდილობდნენ არტიდგან გრემენიცაზედ გადასულიყვნენ გრიბოვისაკენ, მაგრამ ფაკიმ ფაშამ უკუ აქცია. ბერძნების მხრივ მოკლულ იქმნა 107 კაცი. პაპასის ხიდთან ოსმალებმა უკუ აქციეს ბერძნების ქვეითა ჯარი და არტილერია. ორთავე მხარეს თავისი პოზიცია დარჩა. სამის დღის ბრძოლაში ოსმალების ჯარი ძლიერ მცირედ დაზიანდა.

კონსტანტინეპოლი. საბერძნეთის სამხედრო გემებმა ზარბაზნები დაუშინეს პლატომონას, სალონიკე ყურეში და ერთი იალქნიანი გემი შეიპყრეს.

ელჩებმა შეატყობინეს თავიანთ სახელმწიფოებს ოსმალეთის პირობები და ეხლა პასუხს მოელიან.

ახლად გაწყობილ 88 ბათალიონიდგან 32 ეპირში იგზავნება 40—თესალიაში, დანარჩენი სმირნასა და ზღვის ნაპირას მდებარე სხვა ქალაქებში, სადაც-კი ადვილია ჯარის გადმოსხმა.

ვაჭრების საყურადღებოდ.

ქუთაისის ოლქის სასამართლოს ბოქაული აცხადებს, რომ ქუთაისის ოლქის სასამართლოს დარბაზში, 5 აგვისტოს 1897 წ. დილით ათ საათზე, გაიმართება საჯარო ვაჭრობა თ. ეკატერინე სიმონის ასულის ერისთავის მამულის გასასყიდად; მამული მდებარეობს ოზურგეთის მაზრაში სოფ. ჩახატაურში და შესდგება 2 დესეტ. 1800 ოთხ-კუთხ. საჟენი ვენახისაგან და ორ-სართულიანი სახლისაგან. მამული დაგირავებულია ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკში,

—

გორის მაზრის სამხედრო უფროსი აცხადებს, რომ 12 მაისს, ნაშ-ნაშუადღევის 2 საათზე, მახვილის სოფლის სასამართლოში გამართულ იქნება საჯარო ვაჭრობა ჯარის კაცთათვის საჭირო შეშისა, ხორცისა და სხვა სანოვაგეს იჯარით გაცემისა; დაწვრილებითი პირობების შეტყობა შეიძლება ყოველ დღე გორის მაზრის სამხედრო უფროსის სამმართველოში.

ლხი ნახირსავით აწყდება საყდარს, ეხვეწება, იხოკს თავ-პირს და შესთხოვს მადონას (ღვთის მშობელს), ვადაარჩინოს სიკვდილს და შვება მისცეს მისს წვრილ-შვილთ და არ ივიწყებს ბერსაც, რომელიც იმედს აძლევს შველისას, და ორიოდე გროშს უგდებს.

თავგანწირულნი და სასოწარკვეთილნი მცხოვრებნი მრავალნი თვითვე ასალმებენ თავისს თავს წუთისოფელს. ერთი ამ ბოლო უბედურების დროს დაწიოკებულ-დაოსებულ ქალთა ხროვა უცებ შევარდა ეკლესიაში, რომელსაც საშინელის სისწრაფით უახლოვდებოდა ლავა და ესრედ მუხლ-მოდრეკილი და ხელებ-გაწვდილი უფლის წინაშე ულმობელს სიკვდილს მიეცნენ.

როგორც ვსთქვით, ვეზუვის ამოქშინვის დროს მთელი ხალხი შესთხოვს იანუარის შველას; მის დამშვიდების შემდეგ კიდევ მადლობას სწირავენ გადარჩენისათვის. იანუარის გარდა სხვა არა წმინდანს არ მიჰმართვენ ხოლმე, რადგან სხვებს პატივს აღარა სცემენ და, პირიქით, ქოქოლასაც აყრიან.

იმ დღეს, როცა იანუარის სამადლობელს უხდიან ხსნისათვის, მთელს ქუჩებს სანაქებოდ რთავენ, ათასფერ ლიფლიფებს ანთებენ და ყველგან წმიდანების ხატებსა და სურათებს ჰკიდებენ. ზოგს ნახატზედ გამოსახულია ცეცხლ-მქშინავი ვეზუვი, რომელსაც თავით დაჰყურებს გამარჯვებული იანუარი; მრავალს მაგაზიებზედ ოქროს ვარაყიანს წარწერებს აკრავენ: „გაუმარჯოს წმ. იანუარის, მხცოვანს მფარველს ქალაქისას, ნამდვილს ჩვენს მეფეს და სახელოვანს მამას“.

არა ნაკლებს უბედურებას ახდენს ხოლმე სამხრეთს იტალიაში მიწის ძვრა.

ისეთი ძალუმი და დიდი მიწის ძვრა იცის, რომ მარტო გაგონებაც კი შეჰზარავს კაცს. მაგალითად, 1783 წელს დაანგრია 109 ქალაქი და სოფელი და მოჰკლა-გასრისა 32,000 კაცი. ამგვარი სიწის ძვრა არა იშვიათია ხოლმე..

მიწის ძვრასთან ერთად სკდება მიწა და მრავალგან იმოდენა პირს იზამს, რომ კაცი თვალსაც კი ვერ ჩაუწვევს; შიგ აქა იქ გამოჩნდებიან ახალი წყაროები, მთელი ტბები და ჭაობები, გაფუვებული მიწა ზვავდება, მიდის ძირს და მთელს, სოფლებს, შენობებს და ნახნავებს იტანს. მიწის-ძვრის შემდეგ ისე იცვლება ყველაფერი ირგვლივ, რომ ვერც-კი იცნობს იქაურობას წინად მნახველი.

შ. ფრონელი.

---

*) ჩვენ შეუდგით მის ცხოვრების აღწერას და თავის დროზე მკითხველებს გავაცნობთ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 5-го Мая 1897 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქ. № 21.
რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.